

განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან ABA თერაპიის დროს  
დადებითი და უარყოფითი განმტკიცების ეფექტურობა გაქცევის ქცევის  
შესამცირებლად

თორნიკე ჩილინდრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული ასოცირებული პროფესორი,  
PhD, BCBA

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თორნიკე ჩილინდრიშვილი

## აბსტრაქტი

კვლევაში განხილულია ABA თერაპიის ძირითადი პრინციპები, განმტკიცების რაობა და სახეები, პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცება, გაქცევის ქცევის დასწავლის რაობა და თეორიული საფუძვლები, განსხვავება გაქცევის ქცევასა და თავის არიდების ქცევებს შორის. ასევე განხილულია სხვადასხვა ავტორების კვლევები, სადაც ნაკვლევია პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცების ეფექტურობის შედარება გაქცევის ქცევის შემცირებასა და უნარების დასწავლასთან მიმართებაში.

კვლევის მიზანია განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებთან, გაქცევის ქცევის შემთხვევაში, სამეტყველო უნარების დასწავლისა და გაქცევის ქცევის შემცირებისთვის განმტკიცების ტიპის ეფექტურობის დადგენა.

კვლევა ჩატარდა კვლევა ჩატარდა ექსპერიმენტულ გარემოში ცალკეული შემთხვევის ანალიზის დიზაინით. მრავლობითი საფუძვლის მონაცემების დიზაინი სუბიექტებს შორის. მონაცემებს აგროვებდა 2 ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დამკვირვებელი. კვლევა მიმდინარეობდა ABA თერაპიის პრინციპებით და ჩარევას ახორციელებდნენ პროფესიონალი ABA თერაპევტები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მქონე ბავშვმა. ორმა 5 წლის ბიჭმა და ერთმა 7 წლის გოგომ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უარყოფითი განმტკიცება ამცირებს გაქცევის ქცევას და ზრდის სამეტყველო უნარის დასწავლის ხარისხს.

საძიებო სიტყვები: პოზიტიური განმტკიცება, ნეგატიური განმტკიცება, პოზიტიური განმამტკიცებელი, ნეგატიური განმამტკიცებელი, გაქცევის ქცევა, თავის არიდების ქცევა, განვითარების დარღვევა, აუტიზმი, ABA თერაპია.

## **Abstract**

Main principles of ABA therapy, positive and negative reinforce, escape behavior, difference between escape behavior and avoidance behavior are discussed in this research. Other authors researches about effectiveness of positive and negative reinforce on escape maintained problem behaviors are also discussed.

The goal of this research is to determine effectiveness of reinforce type to learn verbal skills and decrease escape maintained problem behaviors with children witch development disorders.

Method of the research was experimental, single case study with multiple baseline design. Data was collected by two observers independent from each other. Intervention was conducted by professional ABA therapists with principles of ABA therapy.

Participants were 3 children with autism spectrum disorder. 2 of them were 5 years old boys and one 7 years old girl.

Results showed that negative reinforce reduces escape maintained problem behaviors and increased verbal skills.

Keywords: positive reinforce, negative reinforce, positive reinforcement, negative reinforcement, escape behavior, avoidance behavior, development disorder, autism.

## მადლობა

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, პროფესორ თინათინ ჭინჭარაულს, კვლევის განმავლობაში რჩევებისა და დახმარებისათვის. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვებს“ დირექტორს ანნა გაზაშვილს კვლევისათვის კლინიკაში ექსპერიმენტული ოთახის გამოყოფისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო „საქართველოს ბავშვების“ ABA თერაპევტებს თამოს, მარის, თიკას, ელენეს და ანას, რომლებიც ახორციელებდნენ კვლევის პროცესში ინტერვენციას. მადლობას ვუხდით თავდაუზოგავი შრომისთვის სტუდენტებს, რომლებიც კვლევის პროცესში აგროვებდნენ მონაცემებს: თეას, ლელას და ქეთის.